ანგარიში

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2026 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ

მუნიციპალიტეტის 2026 წლის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამები ითვალისწინებს სოციალური რისკების პრევენციასა და კრიზისზე დროულ რეაგირებას. მოწყვლადი ჯგუფებისა და პირების დაცვა-გაძლიერების მიზნით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სხვადასხვა ფენის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებით უზრუნველყოფას, კერძოდ: მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მზრუნველობამოკლებული ნაწილის კვებით უზრუნველყოფას, ხანძრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოქალაქეების დახმარებას, სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობას, უსახლკაროდ დარჩენილი მოქალაქეების ბინის ქირით უზრუნველყოფას, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვას, ჯანმრთელობა გაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონარული, ამბულატორიული და მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებას, თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების ტრანსპორტირების თანხით უზრუნველყოფას, იშვიათი დაავადების მქონე პირთა დახმარებას, მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარებას, დედ-მამით ობოლ ბავშვებზე დახმარებას, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ხანდაზმულთათვის შინმომსახურების მიწოდებას, აუტისტური სპექტრის მქონე მოზარდთა რეაბილიტაციას, დაწყებითი კლასების მოსწავლეების პროფილაქტიკურ გამოკვლევას. აღნიშნული პროგრამები მთლიანობაში უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

I. 2026 წლის პირველ და მეორე კვარტალში ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის უზრუნველყოფის პროგრამებზე დაიხარჯა 1 279 564 ლარი. მათ შორის ჯანმრთელობის დაცვაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 542 031 ლარი, ხოლო სოციალურ უზრუნველყოფაზე 1 737 533 ლარი. ამ ეტაპისათვის სულ პროგრამებით ისარგებლა 5927 ბენეფიციარმა.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების ადმინისტრირებას ახორციელებს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის განყოფილება

1.საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამა თვითმმართველი ერთეულების დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში. პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან:

1. ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა).

2. მალარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი.

3. ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა;

4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.

პროგრამის ბიუჯეტმა შეადგინა 204 913 ლარი. პროგრამით ისარგებლა 3406 ბენეფიციარმა.

2. ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონალური, ამბულატორიული და მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების პროგრამა ითვალისწინებს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა თანადაფინანსებას, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 276 258 ლარი. პროგრამით ისარგებლა 680 ბენეფიციარმა. მათ შორის, 140 ონკოლოგიურ პაციენტს ჩაუტარდა სამედიცინო მომსახურება, 45 პაციენტს ჩაუტარდა მაღალტექნოლოგიური კვლევები, 88 ბენეფიციარს დაუფინანსდა სარეაბილიტაციო მომსახურება, 407 ბენეფიციარს კი - სხვადასხვა სახის სტაციონალური და ამბულატორიული მომსახურება, მათ შორის 144 მოზარდია.

3. მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების პროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახზე- საჭიროების შემთხვევაში მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებას 70 ლარის ფარგლებში. ონკოლოგიურ პაციენტთა ქიმიოთერაპიული და იმუნოთერაპიული მკურნალობისათვის და თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფ პაციენტთა მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების დაფინანსებას. პროგრამის ფარლებში ასევე შესაძლებელია შშმ პირთათვის, ვეტერანებისა და მარტოხელა მშობლებისათვის უფასო მედიკამენტებით სარგებლობა. ამ პროგრამით 61 532 ლარის ფარგლებში ისარგებლა 657 ბენეფიციარმა. მათ შორის 247 სოციალურად დაუცველია, 325 შშმ პირი, 70 ვეტერანი; 9 ონკოლოგიური პაციენტი; 2 მარტოხელა დედა, 4 ორსული ქალი (პრეპარატ იმუნოგლობულინით მოსარგებლე).

4. დაწყებითი კლასების მოსწავლეების პროფილაქტიკურ გამოკვლევის პროგრამა რომელიც ითვალისწინებს ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაწყებითი კლასების მოსწავლეების პროფილაქტიკურ გამოკვლევას აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე უფრო გავრცელებული პათოლოგიების (ჰიპერაქტივობისა და ჰიპერკინეზების სინდრომი, თვალის პათოლოგია და სქოლიოზი) ამ პათოლოგიების დროული მკურნალობისა და მათთან დაკავშირებული სხვა დაავადებების აღმოცენების პრევენციის მიზნით. პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სენაკის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო და კერძო სკოლის დაწყებითი კლასების პირველი და მეორე კლასის მოსწავლეები. გამოკვლევების ჩატარება დაგეგმილია მეოთხე კვარტალში.

5. **მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის** ფარგლებში ა(ა)იპ სენაკის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრი ემსახურება სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებს ყოველდღიურად დღეში ერთჯერადი ცხელი საკვებით.რაციონში შედის სამი დასახელების მზა საკვები. სისტემატიურად ხდება მოსარგებლე პირთა რაოდენობაში ცვლილებების შეტანა ცენტრთან არსებული კომისიის დასკვნის საფუძველზე. მომსახურებით სარგებლობენ აგრეთვე მზრუნველობამოკლებული ოჯახები, მარტოხელა მოხუცები. პროგრამის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 223 705 ლარი. პროგრამით სარგებლობს 222 ბენეფიციარი.

6.**მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარების პროგრამის** მიზანია მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა, მრავალშვილიანი ოჯახების გაძლიერება ოჯახში ბავშვის აღზრდისა და სრულფასოვანი განვითარებისთვის აუცილებელი პირობების უზრუნველსაყოფად, სიღარიბის დასაძლევად და სიღარიბეში ჩავარდნის პრევენციისათვის ფინანსური დახმარების გაწევა.

ქვეპროგრამის ფარგლებში საანგარიშო წელს 84 მრავალშვილიან ოჯახს გაეწია ყოველთვიური დახმარება, 111 450 ლარის ფარგლებში. დახმარების მიმღები 368 მოზარდია.

7. ბავშვზე ზრუნვის პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწიათ დედ-მამით ობოლ და იშვიათი დაავადების მქონე 10 ბავშვს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 3 სოციალურად დაუცველ ერთ წლამდე ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა. პროგრამის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 6 531 ლარი.

8. კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების პროგრამის ფარგლებში შესაძლებელი გახდა 23 გარდაცვლილი დევნილი მოქალაქისა და 5 ვეტერანის ოჯახზე დახმარება. პროგრამის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 7 800 ლარი.

9.აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია პროგრამის მიზანია შემეცნებითი, სოციალურ–ემოციური, სოციალური განვითარების, თვითმოვლისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. აღნიშნული ღონისძიება თავის მხრივ მოიცავს საჭიროების შემთხვევაში, მულტიდისციპლინური–ინტერდისციპლინური გუნდის, რამდენიმე სპეციალისტის მიერ, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად, კომპლექსური თერაპიის მიწოდებას, თვეში, არაუმეტეს 18 ინდივიდუალური სეანსისა (მათ შორის: გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია, საჭიროებისამებრ: კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია, სენსორული თერაპია, ფიზიკური თერაპია, არტთერაპია, მუსიკალურითერაპია. მათ შორის, ჯგუფური თერაპია და სხვა. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მომზადება. მათ შორის, შესაბამისი უნარ–ჩვევების განვითარება და სპეციფიკური ზრუნვის სწავლება) და კონსულტირება ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით. ქვეპროგრამით განსაზღვრული თითოეული ინდივიდუალური სეანსის ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 1 საათს. გაწეული მომსახურება ანაზღაურდება თითოეულ ბენეფიციარზე 350 ლარის ოდენობით. პროგრამის ფარგლებში მომსახურების მიღება შეუძლიათ 2-18 წლამდე ბენეფიციარებს, რომლებიც არიან შეფასებული შესაბამისი ინსტრუმენტით და აქვთ დიაგნოზი: F84.0 – ბავშვთა აუტიზმი, ან F84.9 – განვითარების ზოგადი, აშლილობა დაუზუსტებელი. პროგრამით მომსახურება მიიღო 46 მოზარდმა. პროგრამის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 79 450 ლარი.

10. ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარების პროგრამით დახმარება გაეწია 3 მოქალაქეს 12 000 ლარის ფარგლებში.

11. სოციალური ადაპტაციისა და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების გატარების პროგრამის ფარგლებში ფინასური მხარდაჭერა გაეწიათ სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასულ პირებს, უსახლკარო, განსაკუთრებულად მძიმე სოციალური პირობების მქონე 27 პირს, რომლებსაც არ გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და უწევთ ბინის ქირის გადახდა; მათ შორის დახმარება გაეწიათ რეინტეგრირებული ორი ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახს და ოთხ ძალადობის მსხვერპლს 500 ლარის ოდენობით. პროგრამის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 44 400 ლარი.

12. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამის ფარგლებში მხედველობის პრობლემის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, სმენადაქვეითებულ, ასევე ცერებრალური

დამბლით, დაუნის სინდრომითა და აუტიზმით დაავადებულ პირებზე ფინანსური დახმარების გაწევა განხორციელდა, ჯამში 142 ბენეფიციარზე, 55 000 ლარის ფარგლებში. მათ შორის მხედველობადაქვეითებული 53 ბენეფიციარი, სმენადაქვეითებული -21, დაუნის სინდრომის მქონე-11, ცერებრალური დამბლა-43, აუტისტური სპექტრის მქონე-14 ბენეფიციარი.

13. სოციალური ღონისძიების პროგრამა ითვალისწინებს 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე (2 ბენეფიციარი) ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ლიკვიდაციაში მონაწილეთათვის (13 ბენეფიციარი) დახმარების გაწევას. პროგრამა ასევე ითვალისწინებს დახმარებას სენაკის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანებზე და მათთან გათანაბრებულ პირებზე მათი ღვაწლის დაფასების, თანადგომისა და მხარდაჭერის მიზნით, 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით - ერთჯერად ფინანსურ დახმარებას 100 ლარის ოდენობით (313 ბენეფიციარი). სულ პროგრამით ისარგებლა 328 ბენეფიციარმა, პროგრამის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 35 700 ლარი.

14. თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების დახმარების პროგრამა ითვალისწინებს თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების დახმარებას 200 ლარით. პროგრამით ისარგებლა 28 ბენეფიციარი. პროგრამის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 32 200 ლარი.

15. მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს დღის ცენტრ „ლაზარე-2015“ თანადაფინასებას, პროგრამის მიზანია ცენტრის საქმიანობისა და შშმ ბავშვთა მხარდაჭერა, პროგრამით სარგებლობს 15 ბენეფიციარი. პროგრამის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 4 166 ლარი.

16. პროექტი „საქმიანობათა ცენტრი სენაკში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის“ თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 13) ქვეპროგრამის ბიუჯეტი 24 2562 ლარი.

პროგრამის მიზანია უსაფრთხო თემების ჩამოყალიბების/განვითარების ხელშეწყობა კატასტროფებისათვის მზადებით, ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის გაზრდით და სოციალური მხარდაჭერით. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საქმიანობათა ცენტრის ფუნქციონირება პერსონალის, მოხალისეებისა და ბენეფიციარების თანამონაწილეობით. პროექტის ფარგლებში სენაკის მუნიციპალიტეტის ორ ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილზე შესაძლებელი გახდა ხარისხიანი სამედიცინო გამოკვლევების ჩატარება, სხვადასხვა ტიპის გამოკვლევა დაახლოებით ჩაუტარდა 273 მოქალაქეს. 20 სოციალურად დაუცველ, მარტოხელა ხანდაზმულს რამდენიმე ეტაპად გადაეცა სასურსათო ამანათი.

17. პროექტი „ვიზრუნოთ უფროს თაობაზე“ უზრუნველყოფს მარტოხელა ხანდაზმულებისთვის თბილი, უსაფრთხო და ღირსეული პირობების შექმნას-მათთვის შინ მოვლის სერვისის მიწოდებით; მომსახურება მიეწოდება მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში 20 ხანდაზმულ მოქალაქეს და შშმ პირს. პროგრამის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 45 000 ლარი.

18.პერსონალური ასისტენტის მომსახურეობის პროგრამა "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მუნიციპალიტეტებს ეკისრებათ ვალდებულება, განახორციელოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდება ადგილობრივ დონეზე. ,,სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2026 წლის სახელმწიფო

პროგრამის“ ,,პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ფარგლებში მომსახურების მიმწოდებლად სენაკის მუნიციპალიტეტში, 2025 წლის 1 აგვისტოდან დარეგისტრირებულია ორგანიზაცია ა(ა)იპ ,,ხელი ხელს'-ერთდროულად 14 ბენეფიციარის მომსახურების შესაძლებლობით. ამ ეტაპისათვის მომსახურებას ღებულობს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 13 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. ბენეფიციარები შეფასებული არიან, როგორც სპეციალიზირებული ასისტირების საჭიროების მქონე პირები. ფაქტიური ხარჯი შეადგენს 55 567 ლარს.

II. ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება არის ადგილობრივი მუნიციპალიტეტების (მერიის) სტრუქტურული ერთეული, რომელიც შეიქმნა საქართველოს „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ საფუძველზე. მისი მთავარი მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები არასრულწლოვანებისა და მათი ოჯახების დაცვა, მხარდაჭერა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა. განყოფილება მუშაობს როგორც პრევენციულ, ისე დახმარების ღონისძიებებზე. განყოფილების ძირითადი ფუნქციები მოიცავს:

1. “ბავშვის უფლებათა კოდექსით“ გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას.
2. სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვებისა და ოჯახების იდენტიფიცირებას, შეფასებასა და შესაბამისი დახმარების (მაგალითად, მატერიალური მხარდაჭერის) ორგანიზებას.
3. სხვადასხვა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კოორდინაციას ბავშვთა ინტერესების დასაცავად.

კრიზისულ სიტუაციებში (მაგალითად, ოჯახში ძალადობა ან ბავშვის უგულებელყოფა) განყოფილება მუშაობს მულტიდისციპლინური ჯგუფის პრინციპით, სადაც ერთობლივად არიან ჩართულნი განათლების, ჯანდაცვისა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები. რისკის ქვეშ მყოფი (ძალადობის, სიღარიბის, მიტოვების) ბავშვების გამოვლენის შემთხვევაში , ხდება შეფასება და შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებში რეფერირება (გადამისამართება). პროგრამის პროცედურის განსაზღვრა ხდება შენდეგნაირად: მაძიებელმა უნდა მიმართოს მუნიციპალიტეტის მერიას , წარმოადგინოს პირადობის მოწმობა/პასპორტის ასლი და შეავსოს განაცხადი. განაცხადზე რეაგირებას ახორციელებს სოციალური მუშაკი და ახორციელებს პირველად შეფასებას . მესამე პირის მხრიდან, ანონიმური, სახელმწიფო/ სხვა ორგანიზაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციას და მუნიციპალიტეტის მიერ გამოვლენილ შემთხვევებს მიწოდებიდან ადგილზე შეისწავლის სოციალური მუშაკი და ახორციელებს პირველად შეფასებას. პირველადი შეფასების შემდეგ სოციალური მუშაკი განსაზღვრავს სრული შეფასების საჭიროებას ან/და სხვა უწყებაში რეფერირების აუცილებლობას.

2026 წლის იანვრის თვიდან ივნისის თვის ჩათვლით ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მიერ ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელების მიზნით ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო ხუთ ოჯახზე. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველი იყო ორ შემთხვევაში სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა , დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სამეგრელო- ზემო სვანეთის რეგიონალური ცენტრის წერილი, ერთი წერილი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან და ორი - მესამე პირების მხრიდან განხორციელებული შეტყობინება. ხუთივე შემთვევაში ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით განყოფილების სოციალურმა მუშაკმა დაიწყო ამ ოჯახებზე საქმის ადმინისტრაციული წარმოება. სოციალური მუშაკი ახორციელებს სკრინინგის ფორმის შვსებას, შემდგომ ბავშვის შეფასების ფორმას და ბოლოს ადგენს ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმას. სოციალური მუშაკი უზრუნველყოფს ბავშვების ინტერესებისა და უფლებების დაცვას, განსაკუთრებით რთულ, მოწყვლად და კრიზისულ სიტუაციებში. მათი მთავარი მიზანია ბავშვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფა, ოჯახების გაძლიერება და უსაფრთხო გარემოს შექმნა. სოციალური მუშაკი შეისწავლის, თუ რა პირობებში ცხოვრობს ბავშვი, აფასებს ბავშვის ფიზიკურ, ემოციურ და სოციალურ საჭიროებებს. ბავშვისა და ოჯახისა შეფასებების შემდეგ იწერება ბრძანება ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმის დამტკიცების შესახებ . იანვრის თვიდან დღემდე 12 ბავშვზე გამოიცა ბრძანება ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმის დამტკიცების თაობაზე. სამოქმედო გეგმის განხორციელების მეთვალყურეობა და პერიოდული გადახედვა (მონიტორინგი) ხორციელდება ბავშვის კეთილდღეობის საუკეთესო შედეგების მისაღწევად. ვთანამშრომლობთ სხვადასხვა უწყებასთან: სკოლებთან, პოლიციასთან, სამედიცინო დაწესებულებებთან.

მონიტორინგის მიზანია მდგომარეობის გაუარესების პრევენცია და დამოუკიდებელი უნარ-ჩვევების ხელშეწყობა. ეს პროცესი გულისხმობს მოწყვლადი ჯგუფების, ბავშვთა ან ოჯახთა საჭიროებების სისტემატურ კონტროლს. ბენეფიციარის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მდგომარეობის შეფასებას, ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილების (საკვები, თავშესაფარი, მედიკამენტები) პროცესის კონტროლს, საჭიროებისამებრ სხვა სერვისებში (სამედიცინო, საგანმანათლებლო, იურიდიული) ჩართვა და მათი მიმდინარეობის მეთვალყურეობას. განყოფილების სოციალური მუშაკის მიერ აღნიშნულ პერიოდში 29 ოჯახთან განხორციელდა როგორც გეგმიური ასევე არაგეგმიური და სატელეფონო მონიტორინგი.

ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა ფორმის ტრენინგ - შეხვედრებში. არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი - ასბ საქართველოს მიმდინარე პროექტების, ავსტრიის რესპუბლიკის სოციალური დაცვის, ჯანმრთელობის, ზრუნვისა და მომხმარებელთა დაცვის ფედერალური სამინისტროს დაფინანსებული პროექტის "უთანასწორობის შემცირება და კრიზისში მყოფ ქალთა მხარდაჭერის გაძლიერება" ფარგლებში, რომლის პროექტი მიზნად ისახავს კრიზისში მყოფი ქალებისა და გოგონების გაძლიერებას სოციალური, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური მხარდაჭერის გზით, მათი დასაქმების შესაძლებლობების ზრდას, ადგილობრივ სერვისებთან დაკავშირებას, შემოსავლის წყაროების შექმნასა და მდგრადი პარტნიორობის განვითარებას , ორმა ბენეფიციარმა გაიარა სამთვიანი ტრენინგ - კურსი , აიღეს სერთიფიკატი, დაეუფლნენ პროფესიას და გაუჩნდათ დასაქმების პერსპექტივა.

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია („ათეა"), გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს „საქართველოს მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა ბავშვზე და ბავშვიან ოჯახებზე მორგებულ სოციალურ პროგრამირებაში", შეხვედრა ეხებოდა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების/ფუნქციონირების დარღვევების მქონე ბავშვების საჭიროებებსა და უფლებებზე დაფუძნებული და მათი ოჯახების მხარდამჭერი მუნიციპალური სოციალური პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგიის მიმოხილვას.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სენაკის ფილიალის და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ერთობლივი პროექტის ფარგლებში სოციალურად დაუცველ მარტოხელა, მრავალშვილიანი

დედების და ხანდაზმული ბენეფიციარების მოძიება, ბაზების ფორმირება და სხვადასხვა სასაჩუქრე ამანათების გადაცემა. ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება აგრძელებს მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობას.

III.